



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკა: საქართველოს როლი

ბრიგოლ ჯულუსიძე

148

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ბრიგოლ ჯუღუშსიძე

პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკა: საქართველოს როლი

148

2020



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-2773-0

„აღმოსავლური პოლიტიკა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებათაგანია. მისი მიზანია საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან (ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) აქტიური თანამშრომლობა, რადგან ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია, რომ ჩვენი აღმოსავლეთ მეზობლები ტკბებოდნენ დამოუკიდებლობით, ცხოვრობდნენ უსაფრთხოდ და ჰქონდეთ სუვერენული უფლება, თავად აირჩიონ მოკავშირეები, განვითარების გზები და პოლიტიკური მონაცობის მოდელები. ის ქვეყნები, რომლებიც პროევროპულ, პროდასავლურ გზას დაადგებიან, პოლონეთის მუდმივი მხარდაჭერით ისარგებლებენ“, – პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო (Ministerstwo Spraw Zagranicznych, 2019).

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს პოლონეთის III რესპუბლიკის აღმოსავლური პოლიტიკის (Polityka Wschodnia) ისტორიულ-პოლიტიკურ-ეკონომიკური მოტივების განსაზღვრა და იმ როლის იდენტიფიკაცია წარმოადგენს, რომელსაც ამ კონტექსტში საქართველო ასრულებს. ამასთან, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რუსეთზე, სახელმწიფოზე, რომელიც ერთ-ერთი ცენტრალური აქტორია პოლონეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში. ასევე აქცენტი გადატანილია იმ გამონკვევებზე, რომლებიც, კრემლის ქმედებებიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების მხრივ უმთავრესი თავსატეხია ოფიციალური ვარშავის რეგიონული ინტერესებისათვის.

ისტორიული კონტექსტი

1989 წლის 4 ივნისს, როდესაც პოლონეთში პირველი ნაწილობრივ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, საფუძველი ჩაეყარა III Rzeczpospolita-ს¹.

იალტის კონფერენციის შედეგად, „რკინის ფარდის“ ბნელ მხარეს, სოციალისტურ ბლოკში, თითქმის 40-წლიანმა იძულებითმა ყოფამ პოლონეთი უმძიმეს შედეგებამდე მიიყვანა: კომუნისტური რეჟიმისგან რეპრესირებული და ლიკვიდირებული ათიათასობით მოქალაქე; ისტორიის გადანერის (დამახინჯების) სისტემურ მცდელობათა ციკლი; ნომინალური სუვერენიტეტი; სისასტიკით დევნილი ეკლესია; უპრეცედენტოდ ღრმა კრიზისში მყოფი ეკონომიკა...

თუკი II მსოფლიო ომის დაწყებამდე პოლონეთი მსოფლიოს 10 ყველაზე მდიდარ სახელმწიფოს შორის იყო ერთ სულ მო-

სახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის თვალსაზრისით (Kokoszczyński, 2004), 1990 წელს, ინფლაციის კატასტროფული მაჩვენებლისა და ზლოტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით, პირველ ასეულშიც კი აღარ ირიცხებოდა (Balcerowicz, 2012).

ყურადსაღებია ის მძიმე ისტორიული გამოცდილებაც, რაც ქვეყანამ რუსეთთან (რუსეთის იმპერია/საბჭოთა კავშირი) ურთიერთობის შედეგად მიიღო.

ამ ორი სუბიექტის ისტორიული ურთიერთქმედება იმდენად სისხლისმღვრელი და დამანგრეველია პოლონელი ხალხისათვის, რომ პოლონეთის ისტორიაში რთულად მოიძებნება სხვა საგარეო აქტორი, რომელმაც ისევე დააზიანა ქვეყანა, როგორც რუსეთის იმპერიამ და მის ნიადაგზე ჩამოყალიბებულმა საბჭოთა კავშირმა.

პოლონურ-რუსული ისტორიული ანტაგონიზმი მე-15 საუკუნიდან იღებს სათავეს: ომი მოსკოვსა და პოლონურ-ლიეტიუვურ თანამეგობრობას შორის (1492-1570). შემდეგ იყო პირველი პოლონურ-რუსული ომი 1577-1582 წლებში; მეორე (1609-1618); მესამე (1632-1634); მეოთხე (1654-1667); მეხუთე (1733-1735); მეექვსე (1768-1772); მეშვიდე (1919-1931); მერვე (1939) ... (Bohun, 2018).

გარდა აღნიშნული კონფლიქტებისა, კრემლმა სამჯერ დაანანევრა (rozbiór) პოლონეთი (1772, 1793 და 1795 წლებში). „მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის მსოფლიო რუკიდან გაქრობაში პრუსიაცა და ავსტრიაც მონაწილეობდნენ, არც ერთ დამპყრობელს არ გაუტარებია ისეთი სასტიკი რეპრესიები, როგორც რუსეთმა“ (Gałaj-Dempniak, 2018).

უკანასკნელ, 1795 წლის, დანანევრებას 123 წლით დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა (Polska pod Zaborami). პოლონეთის ისტორიაში დადგა ჟამი, როდესაც იზღუდებოდა არა მხოლოდ სუვერენიტეტი, არამედ ყველაფერი, რაც საუკუნეების მანძილზე პოლონეთის ეროვნულ იდენტობას აყალიბებდა: ენა, ლიტერატურა, კულტურა, სარწმუნოება. 123-წლიანი ოკუპაციის პერიოდში რუსეთის იმპერიამ პოლონელთა 2 სამხედრო აჯანყება ჩაახშო სასტიკად:

1. 1830-1831 წლებში („ნოემბრის“)
2. 1863-1864 წლებში („იანვრის“)

უკანასკნელი აჯანყების შემდეგ ამოქმედდა პოლონელთა რუსიფიკაციის 22-პუნქტიანი, მრავალწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა:

- პოლონეთის სამეფოს ფორმალური ავტონომიის გაუქმებას;
- 50 წლით სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას;

- 200 000 პოლონელის ციმბირში გადასახლებას;
- საშუალო და საშუალოზე მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ რუსების დანიშვნას;
- სიტყვა „პოლონეთის“ (Polska) გაქრობას სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებების სახელწოდებებიდან;
- პოლონური უმაღლესი სასწავლებლების გაუქმებას და სკოლებში რუსული ენის სავალდებულო სწავლებას;
- პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებისათვის ვატიკანთან და რომის პაპთან ყოველგვარი კონტაქტის აკრძალვას;
- ნიგნებისა და პრესის ტოტალურ ცენზურას (Taras, 2016).

მას შემდეგ, რაც 1918 წელს პოლონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, კვლავ რუსეთი (ამჯერად ბოლშევიკური) გახდა II რესპუბლიკის უმთავრესი საფრთხე, თუმცა ამჯერად ვარშავამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოახერხა – საბჭოელების სასტიკი დამარცხებით 1920 წელს (Bohun, 2018).

II რესპუბლიკამ მხოლოდ 21 წელი იარსება. რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე, 1939 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთიდან დაესხა თავს პოლონეთს, რომელიც იმ დროს დასავლეთით ნაცისტური გერმანიის თავდასხმას იგერიებდა.

მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული მოვლენები განსაკუთრებით მძიმე იყო პოლონეთისათვის, რადგან გარდა ადამიანურ-ინფრასტრუქტურული განადგურებისა, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა², საიდუმლო ოპერაციის ფარგლებში, პოლონური ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი – რეგულარული და სარეზერვო ჯარების 22 000-მდე დატყვევებული ოფიცერი სიკვდილით დასაჯა (კატინსა და სხვადასხვა ქალაქებში); 60 000-ზე მეტი კი შუა აზიაში გადაასახლა (Platajs, 2016).

ერთი სიტყვით, შეუძლებელია პოლონეთის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე საუბარი ასეთი შესავლის გარეშე, რადგან სწორედ ამ მოვლენებმა, უფრო კონკრეტულად კი, რუსეთმა განაპირობა პოლონეთის მესამე რესპუბლიკის საწყისი ნაბიჯები და აღმოსავლური პოლიტიკა.

პარალელები საქართველოსთან და პოლონური დასკვნები

პოლონეთსა და საქართველოზე მსჯელობისას გვერდს ვერ აფუეკლით ისტორიული მესხიერების თანაზიარობის ფენომენს – უმძიმეს ისტორიულ გაკვეთილებს რუსეთისგან, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ამ ორი ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობის პერსპექტივებსა და ხალხთაშორის კეთილგანწყობას. სხვათა შორის, პრეზიდენტი კაჩინსკი მუდამ ხაზს უსვამდა ამ მოცემულობას და მაგალითად ის ქართველი ოფიცრები მოჰყავდა (Czech, 2008), რომლებიც საბჭოთა ოკუპაციას გამოექცნენ და 1921-1939 წლებში პოლონურ შეიარაღებულ ძალებში მსახურობდნენ (Kowalski, 2001).

მძიმე ისტორიული გამოცდილებით, რუსეთი პოლონელთა ეროვნულ წარმოდგენაში დამკვიდრდა, როგორც მკვეთრად უარყოფითი საგარეო-პოლიტიკური აქტორი. შესაბამისად, პოლონური ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს საგარეო მტრის (რუსეთის) ადეკვატურად აღქმა-დაბალანსება წარმოადგენდა და წარმოადგენს. აბსოლუტურად ყველა სფეროში (სკოლა, უნივერსიტეტი, კინემატოგრაფია, სპორტი, ლიტერატურა, ხელოვნება, დიპლომატია) რუსეთი მუდამ ნეგატიური სუბიექტი იყო, სოციალიზმის დროსაც კი (თუმცა მაშინ ეს ყველაფერი შეფარულად ხდებოდა).

არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლონეთის კათოლიკურმა ეკლესიამ – როგორც ენტონი დევიდ სმიტი აღნიშნავს, ეკლესია ჩაგრული ერი-სახელმწიფოების ეროვნული იდენტობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დედაბოძია (სმიტი, 2008).

პოლონეთში კათოლიციზმი განსაკუთრებით მაშინ შეიზღუდა, როდესაც რუსეთმა ქვეყნის დამოუკიდებლობა ხელყო. ამიტომაც ეკლესია საზოგადოებრივი საყრდენი და ვატიკანთან (დასავლეთთან) კავშირის ლამის ერთადერთ მექანიზმად იქცა. მიუხედავად იმ უმძიმესი დარტყმებისა, რაც რუსეთმა პოლონეთის კათოლიკურ ეკლესიას მიაცენა, აღნიშნული ინსტიტუტი არათუ შესუსტდა, არამედ გაძლიერდა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში პოლონელთა შთაგონების წყაროდაც იქცა. ამ უარყოფითი ისტორიული, ემპირიული გამოცდილებიდან გამომდინარე, პოლონელთათვის ეკლესია ავტომატურად ასოცირდებოდა „თავისუფლების ფანჯარასთან“, რომელიც პირობითად რომ ვთქვათ: „დასავლეთზე გადიოდა“. სხვათა შორის, დეკომუნიზაციის საქმეში, „სოლიდარობის მოძრაობასთან“³ ერთად, უდიდესი როლი შეასრულა კათოლიკურმა ეკლესიამ ოიანე პავლე მეორის ხელმძღვანელობით.

ერთი სიტყვით, რუსულმა პანსლავიზმმა ვერაფრით მოიკი-
და ფეხი პოლონურ საზოგადოებრივ წარმოდგენაში და პოლონურმა
ეროვნულმა იდენტობამ, რომელიც რუსეთთან უწყვეტი ნეგატიური
პოლიტიკურ-რელიგიური ინტერაქციითა და პოლონელი საზოგადო
მოღვაწეების უშრეტი ძალისხმევით (იგნაცი პადერევსკი, რომან
დმოვსკი, იუზეფ პიუსუდსკი, კარდინალი სტეფან ვიშინსკი, იოანე
პავლე II, ტადეუმ მაზოვიეცკი, კმიშტოფ სკუბიშევსკი) ჩამოყალიბ-
და, ერთგვარი იმუნიტეტი შეიძინა და ქვეყანაში რუსული გავლენის
არაფეექტიანობა განაპირობა.

ცოდნამ, რომ რუსეთი ქვეყნის სუვერენიტეტისათვის
პირდაპირი საფრთხეა, და ამ ცოდნის მუდმივმა „გადამეორებამ“
პოლონეთის რესპუბლიკის ყველა ხელისუფლებას ისეთი საგარეო
და საშინაო პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგა, რომელიც მინიმუ-
მამდე დაიყვანდა აღნიშნულ საფრთხეს. ამის შედეგია ის, რომ პო-
ლონეთის ხელისუფლება აქტიურად ამცირებს კრემლის გავლენის
თითოეულ კერას, სწრაფი ტემპებით განაგრძობს რუსეთზე ეკო-
ნომიკური დამოკიდებულების მინიმალიზაციასა და თავდაცვისუნა-
რიანობის გაზრდას.

მესამე რესპუბლიკის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო

ისტორიამ და უმძიმესმა პოსტკომუნისტურმა პოლიტი-
კურმა მემკვიდრეობამ პოლონეთის III რესპუბლიკის აღმოსავლური
პოლიტიკის და ზოგადად, ეროვნული უსაფრთხოების უმთავრეს
გამონწვევად ახლო სამეზობლოში (იგულისხმება აღმოსავლეთ და
ცენტრალური ევროპა) კრემლის გავლენის შემცირება-დაბალანსე-
ბა აქცია. მით უმეტეს, რუსეთში ძალიან მაღევე დასრულდა პოსტ-
საბჭოთა დემოკრატიული ეიფორია, როდესაც ხელისუფლებაში
საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი
ნევრები მოვიდნენ (Ostrovsky, 2015). ამ მიზანს განსაკუთრებუ-
ლად შეუწყო ხელი ქვეყნის ევროატლანტიკურმა ინტეგრაციამ და
სწრაფმა სისტემურმა გარდაქმნამ. პარალელურად, გამოიკვეთა
კიდევ ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ამოცანა: ყოფილი კო-
მუნისტური სახელმწიფოების – ლიეტუვას, ლატვიის, ესტონეთის,
ბელარუსისა და უკრაინის – მხარდაჭერა (Cziomer, 2015). რეალუ-
რად, ამ ქვეყნების მოძლიერება-დემოკრატიული ტრანსფორმაცია
უსაფრთხოებისათვის საჭირო ე.წ. ბუფერულ ზონებსა და რე-
გიონულ სტაბილიზაციას ნიშნავდა (Wenerski, 2015). აღსანიშნავია
ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად რიგი ფუნდამენტური სხვაობებისა,

ამ საგარეო-პოლიტიკური ხაზისთვის III რესპუბლიკის არც ერთ ხელისუფლებას არ გადაუხვევია.

2004 წლიდან პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკის რუკაზე კიდევ ერთი აქტორი ჩნდება – საქართველო. ქვეყანა, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მკვეთრად პროდასავლური კურსი აირჩია და ეფექტური რეფორმების წყალობით, ძალიან მალევე მოექცა დასავლური სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში.

ბევრი მიიჩნევდა, რომ საქართველო სისტემური ტრანსფორმაციის სწორედ იმ გზაზე იდგა, რომელიც პოლონეთმა 90-იან წლებში გაიარა. რა თქმა უნდა, ეს ჰიპოთეზაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ოფიციალური ვარშავის გადმოსახედიდან, თუმცა გაცილებით უფრო დიდი დატვირთვა სხვა მოსაზრებებს ჰქონდა, კერძოდ:

1. საქართველო შეიძლება გამხდარიყო ინსპირაციის წყარო სამხრეთ კავკასიაში, რეგიონში, სადაც დემოკრატიის სერიოზული დეფიციტია;
2. რუსეთის ახლო სამეზობლოში წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა კრემლის პოზიციებს მნიშვნელოვნად შეასუსტებდა;
3. თუ მოხერხდებოდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდებოდა ევროპის აღმოსავლეთი ფლანგი;
4. კავკასიაში მოსკოვის გავლენისაგან თავისუფალი სივრცე მასშტაბური სავაჭრო და ეკონომიკური ინიციატივების ცენტრად გადაიქცეოდა.

თითოეული პუნქტი პოლონეთის ეროვნულ ინტერესთა გაცხადებული ელემენტია, რაც სხვადასხვა ფორმით ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიის ყოველ ანგარიშში ფიქსირდება ხოლმე: „აქტიური მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების კუთხით. თბილისის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში სტაბილიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებების გატარება“ (Strategia Bezpieczeństwa Narodowego Rzeczypospolitej Polskiej, 2020, 25).

ზაზგასასმელია საგარეო საქმეთა მინისტრების ურყევი პოზიცია. 2007 წლიდან დღემდე პოლონური დიპლომატიის თითოეული

ხელმძღვანელი (ფოტიგა, შიკორსკი, სპეტინა, ვაშჩიკოვსკი, ჩაპუტოვიჩი) ღიად ლაპარაკობდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე: „პოლონეთისთვის საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში განეწიანება მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის გრძელვადიანი სტაბილურობისა და ეკონომიკურ-სოციალური განვითარების გარანტიაა“ (Czaputowicz, 2019). „პოლონეთი ადასტურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევ მხარდაჭერას“, – პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო (Ministerstwo Spraw Zagranicznych, 2018).

ოფიციალური ვარშავისათვის საქართველო ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი – გეოპოლიტიკური – თვალსაზრისითაც, როგორც სატრანსპორტო დერეფანი, რომლის მეშვეობითაც კასპიის ზღვიდან ენერგორესურსების ტრანზიტია შესაძლებელი. მაგალითისთვის ბაქო-ფოთი-სუფსა-ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკის მილსადენი გამოდგება. გარდა ამისა, საქართველო პერსპექტივაში შეიძლება გახდეს 3 ზღვის ინიციატივის⁴ (3SI) სამხრეთ მილსადენის გამტარი, რაც საგრძობლად გაზრდის ევროპული სახელმწიფოების ენერგოდამოუკიდებლობას.

ცალკე საუბრის თემაა აღმოსავლეთ პარტნიორობა⁵, რომელიც ოფიციალურმა ვარშავამ, შვედეთთან ერთად, აღმოსავლური პოლიტიკის ფარგლებში აზერბაიჯანის, ბელარუსის, უკრაინის, სომხეთის, მოლდოვისა და საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის შექმნა. სხვათა შორის, აღნიშნული ფორმატის თავდაპირველი ვერსია (ე.წ. draft version) ძალიან ამბიციური და ყოვლისმომცველი იყო, თუმცა რუსეთის ზენოლის შედეგად, ცალკეულმა დასავლურმა სახელმწიფოებმა ინიციატივის მოდიფიკაციას დაუჭირეს მხარი (Korosteleva, 2017). სწორედ ეს პლატფორმა იყო უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დაწესებისა და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით.

პოლონეთია ასევე რუსეთისათვის სანქციების დაწესების ერთ-ერთი უმთავრესი ინიციატორი საერთაშორისო არენაზე (საქართველოსა და უკრაინაში კრემლის აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ). ზოგადად, ამჟამინდელი მმართველი გუნდი („კანონი და სამართლიანობა“/Prawo i Sprawiedliwość) ანტისაბჭოთა დისიდენტების, „სოლიდარობის“ ყოფილი წევრებისა და გამოკვეთილად პროდასავლური ფიგურებისაგან შედგება. შესაბამისად, განსა-

კუთრებული არგუმენტაცია და მიზეზშედეგობრივი კავშირის ძიება არ სჭირდება იმ მოცემულობას, თუ რატომ ინარჩუნებს ეს პოლიტიკური ძალა ხისტ პოზიციებს მოსკოვთან მიმართებით.

ვარშავიდან აღქმული საქართველოსა და მისი მნიშვნელობის საუკეთესო ილუსტრაცია კი ის სიტყვებია, რომელიც პრეზიდენტმა კაჩინსკიმ 2008 წლის აგვისტოში წარმოთქვა თბილისში: „დღეს – საქართველო, ხვალ – უკრაინა, ზეგ – ბალტიისპირეთი და შემდეგ შეიძლება ჩემი ქვეყნის ჯერიც დადგეს!“ (Kaczyński, 2008).

გამონვევები და ამოცანები აღმოსავლეთში

თანამედროვე პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკის უცვლელ, უმთავრეს გამონვევად რუსეთის აგრესიული პოლიტიკა რჩება, რაც საფრთხეს წარმოადგენს ოფიციალური ვარშავის ეროვნული უსაფრთხოებისა და უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს სტაბილურობისათვის (Strategia Bezpieczeństwa Narodowego Rzeczypospolitej Polskiej, 2020, 25). აღნიშნული ქვეყნების შიდა საქმეებში პირდაპირი ჩარევა (ან ჩარევის მცდელობები) კიდევ უფრო ზრდის კრემლის გავლენასა და სამიზნე სახელმწიფოების მოწყვლადობის ინდექსს. ამ მხრივ, მთავარი მექანიზმი პროპაგანდაა – რუსეთის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი (Darczewska, 2014). კრემლის პროპაგანდისტული ოპერაციების მიზანს დასავლეთის და, მათ შორის, პოლონეთის დემონიზაცია წარმოადგენს: უკრაინაში ანტი-პოლონური მითების გავრცელებით, ხოლო მოლდოვასა და საქართველოში იმ მოსაზრების გავრცელებით, რომ პოლონეთი „არაფერს ნყვეტს“ ევროპაში.

2020 წლის 18 ივნისს ამერიკულ The National Interest-ში ვლადიმირ პუტინის სტატია გამოქვეყნდა, სადაც რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ II მსოფლიო ომის გაჩაღების საქმეში პოლონეთი ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი სახელმწიფო იყო, როგორც ნაცისტური გერმანიის ყოფილი მოკავშირე (Putin, 2020). მეორე დღესვე ცალკეულ ქართულ ონლაინგამოცემებში გამოჩნდა ამ პათოსის გამზიარებელი სტატიები. მეტანარატივი შემდეგი სახის იყო: დიახ, პოლონეთი საქართველოს მეგობარი სახელმწიფოა, თუმცა მესამე რაიხის მოკავშირე.

დღესდღეობით, პოლონეთის უმთავრესი ამოცანა საქართველოში, ერთი მხრივ, პროპაგანდისტული, დეზინფორმაციული ხასიათის გზავნილების ნეიტრალიზაციაა (პირველ რიგში, თავად პო-

ლონეთის შესახებ), მეორე მხრივ, საქართველოსთან უფრო ღრმა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა.

რაც შეეხება უფრო რთულ და გლობალურ ამოცანას, რომელიც პოლონეთმა ითავა, დასავლური სახელმწიფოების მუდმივი დარწმუნებაა თბილისის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის აუცილებლობაში და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის რუსეთის იმპერიალისტური „ბუნების“ შეხსენება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ ახალ მსოფლიო წესრიგში, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, რთულია ისეთივე თანმიმდევრული სახელმწიფო აქტორის გამოყოფა, როგორც პოლონეთია, რომელიც 1989 წლიდან დღემდე უცვლელად მიჰყვება საგარეო-პოლიტიკურ ხაზს – რუსეთი უმთავრესი საფრთხეა.

ბიბლიოგრაფია

1. Balcerowicz, Leszek. 2012. Odkrywając Wolność: Przeciw Zniwoleniu Umysłów. Poznań: ZYSK i S-KA Wydawnictwo.
2. Bohun, Tomasz. 2018. Wojny Polsko-Rosyjskie. Warszawa: Mówią Wieki.
3. Czaputowicz, Jacek. 2019. Minister Jacek Czaputowicz o Priorytetach Polskiej Dyplomacji w 2019 Roku. MSZ. www.gov.pl/web/dyplomacja/minister-jacek-czaputowicz-o-priorytetach-polskiej-dyplomacji-w-2019-rokuwww.gov.pl/web/dyplomacja/minister-jacek-czaputowicz-o-priorytetach-polskiej-dyplomacji-w-2019-roku accessed 1 August 2020.
4. Czech, Mirosław. To Była Noc Lecha Kaczyńskiego. Gazeta Wyborcza. wyborcza.pl/1,76842,5660891,To_byla_noc_Lecha_Kaczynskiego.html?fbclid=IwAR1oCLhb5IEbQDn5u3WzWP1K1paOa0TQ7EhQx3P4a0UR90ANeg6G3DMPobo&disableRedirects=true accessed 29 July 2020.
5. Cziomer, Erhard. 2015. Polityka Zagraniczna i Bezpieczeństwa Polski - Po 1989 Roku. Kraków: Oficyna Wydawnicza AFM.
6. Darczewska, Jolanta. 2014. Anatomia Rosyjskiej Wojny Informacyjnej. Warszawa: Ośrodek Studiów Wschodnich im. Marka Karpia.
7. Gałaj-Dempniak, Renata. 2018. Interview. Szczecin, Poland. 08.10.2018

8. Kaczyński, Lech. 2008. Lech Kaczyński w Gruzji - Przemówienie na Wiecu w Sierpniu 2008. www.youtube.com/watch?v=Ojcm45iykc www.youtube.com/watch?v=Ojcm45iykc accessed 31 July 2020.
9. Kokoszczyński, Ryszard. 2004. Współczesna Polityka Pieniężna w Polsce. Warszawa: PWE.
10. Korosteleva, Elena. 2017. Eastern Partnership: Bringing "the Political" Back In. www.tandfonline.com/doi/full/10.1080/21599165.2017.1340882?scroll=top&needAccess=truewww.tandfonline.com/doi/full/10.1080/21599165.2017.1340882?scroll=top&needAccess=true accessed 2 August 2020.
11. Kowalski G., Zdzisław. 2001. "Najlichnniejsza Mniejszość. Gruzini, Azerowie i Inni Przedstawiciele Narodów Kaukazu w Wojsku Polskim w Okresie Międzywojennym". (ed) Zbigniew Karpus, Waldemar Rezmer. Mniejszości Narodowe i Wyznaniowe w Siłach Zbrojnych Drugiej Rzeczypospolitej 1918-1939. Toruń: Wydawnictwo Naukowe Uniwersytetu Mikołaja Kopernika.
12. Ministerstwo Spraw Zagranicznych. 2019. Polityka Wschodnia. www.gov.pl/web/dyplomacja/polityka-wschodia www.gov.pl/web/dyplomacja/polityka-wschodia accessed 3 August 2020.
13. Ostrovsky, Arkady. 2015. The Invention of Russia: From Gorbachev's Freedom to Putin's War. London: Atlantic Books.
14. Platajs, Jerzy. 2016. Zbrodnia Katyńska - Zeznania Świadków przed Polskimi Sądami Wojskowymi (1943-1946). Gdańsk: Muzeum II Wojny Światowej.
15. Putin, Vladimir. 2020. The Real Lessons of the 75th Anniversary of World War II. The National Interest. www.nationalinterest.org/feature/vladimir-putin-real-lessons-75th-anniversary-world-war-ii-162982www.nationalinterest.org/feature/vladimir-putin-real-lessons-75th-anniversary-world-war-ii-162982 accessed 3 August 2020.
16. Strategia Bezpieczeństwa Narodowego Rzeczypospolitej Polskiej. 2020. www.bbn.gov.pl/ftp/dokumenty/Strategia_Bezpieczenstwa_Narodowego_RP_2020.pdfwww.bbn.gov.pl/ftp/dokumenty/Strategia_Bezpieczenstwa_Narodowego_RP_2020.pdf accessed 1 August 2020.
17. Taras, Anatol. 2016. Anatomia Nienawiści - Stosunki Polsko-Rosyjskie XVIII–XX w. Warszawa: Demart.
18. Wenerski, Łukasz. 2015. Polish Foreign Policy: Callenging Years Have Come. Praha: Asociace pro Mezinárodní Otázky.

შენიშვნები

1. III რესპუბლიკა სათავეს იღებს 1989-1991 წლებში გატარებული იმ ყოვლის-მომცველი ინსტიტუციური რეფორმების ციკლის შედეგად, რომელმაც ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი დაასრულა.
2. Народный комиссариат внутренних дел – НКВД – ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო კრიმინალთან ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში 1917-1946 წლებში. შემდგომში შინაგან საქმეთა სამინისტრო დაერქვა.
3. Solidarność – 1980 წლის სექტემბერში დაარსებული პოლონური პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პოლონეთის დემოკრატიზაციის საქმეში.
4. The Three Seas Initiative/Trójmorze – რეგიონული დიალოგისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური თანამშრომლობის ფორუმი, რომელიც აერთიანებს ავსტრიას, ბულგარეთს, ხორვატიას, ჩეხეთს, ესტონეთს, უნგრეთს, ლატვიას, ლიეტუვას, პოლონეთს, რუმინეთს, სლოვაკეთსა და სლოვენიას.
5. Eastern Partnership/EaP – ევროპის კავშირის პროექტი, რომელიც მოამზადეს პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ფორმატის მიზანია ბელარუსთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან თანამშრომლობის გაღრმავება, მათი შემდგომი ევროინტეგრაციისათვის.